საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/2733
06/09/2019

2733-გ-19-03-2-201909061237

შპს „ჯიმობაილს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

გატყობინებთ, რომ 2019 წლის 5 სექტემბერს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია”) სხდომა გადაიდო და გაიმართება 2019 წლის 12 სექტემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „ჯიმობაილისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი N19-10-1593, 16.08.19).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 21 აგვისტო. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-1593, 16.08.19) – 2 ფურცელი.

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge